ხელშეკრულება № 02/18
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 3 01 2011წ.

1. ხელშეკრულების საერთო პირობები

1 .1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.
1.2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.2.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მოლაპარაკების შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.
1.2.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის.
1.2.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში – „შემსყიდველი") – ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.2.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე, აწვდის საქონელს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.
1.2.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების მხარეები

2.1 ერთი მხრივ, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის **პაატა სულაბერიძის** სახით (შემდგომში - "შემსყიდველი") და მეორე მხრივ, **ს/ს"თეგეტა მოტორსი"** წარმოდგენილი მისი გენერალური **დირექტორის გიორგი მშვილდაძის** სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ", სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული დებულების 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ" ქ/პუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საჭიროებისათვის ავტომობილების მომსახურების შესყიდვა თანმდევი ნაწილებით.
3.2 ავტომობილების ჩამონათვალი და მომსახურების სახე მოცემულია დანართი №1-ში რომელიც დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 5000 (ხუთი ათასი) ლარს.
4.2 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

5.1 მომსახურება გაწეული უნდა იქნეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება ყოველ გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტით, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და/ან სასაქონლო ზედნადებს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.
6.2 აღნიშნული ხელშეკრულების მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მოაწერს სამინისტროს მხრიდან მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი **ლაშა კახაძე.**

7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1. „მიმწოდებელითან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში.
7.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და/ან სასაქონლო ზედნადები.
7.3 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება 7.2. პუნქტში განსაზღვრული პროცედურების დასრულების შემდეგ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.
7.4 მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და/ან სასაქონლო ზედნადების გამოუწერლობის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის გადახდა.

8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს თანხის დროული გადახდა.
8.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:
8.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
8.2.2 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9. მხარეთა ვალდებულებები

9.1. **„მიმწოდებელი"** ვალდებულია:
9.1.1 დადგენილ ვადაში 5.1 პუნქტის შესაბამისად გაუწიოს „შემსყიდველს" უფლებრივად უნაკლო მომსახურება.

9.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
9.2. **„შემსყიდველი“ ვალდებულია:**
9.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის გადახდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
9.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

11.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.
12.2. მხარეებმა, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია მიმართონ სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 5 (ხუთი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

14. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
14.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების კონტროლი

14.1 15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს სამინისტროს მხრიდან განახორციელებს **მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ემზარ თორაძე.**
15.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული მომსახურების ხარისხის კონტროლი.
15.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
15.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
15.5 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

16. ხელშეკრულების ენა

16.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
ა) მომსახურების გაწევით.
ბ) მხარეთა შეთანხმებით.
გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2011 წლის 28 თებერვლამდე.

19. განსაკუთრებული პირობები

19.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
19.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი – „შემსყიდველთან".

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"
საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: 220101222
ა/ა № 200122900; ს/კ №204564934

„მიმწოდებელი"
ს/ს"თეგეტა მოტორსი"
მისამართი : ქ. თბილისი, დიღმის მასივი VIკვ. კორპ.22,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №24467853
სს „თი ბი სი ბანკი, კოდი: 220101830
ს/კ 202177205

მინისტრის პირველი მოადგილე
პაატა სულაბერიძე

გენერალური დირექტორი
გიორგი მშვილდაძე

№	ავტოსაბაზრო ნაწილების ჩამონათვალი	ერთეული	TOYOTA LC 200 NEW 207	RENAULT 207	MERCEDES BENZ E 200	MAZDA 323	SKODA
1	10W40 Meguin	ლ	8.5	8.5	8.5	8.5	8.5
2	10W40 Shell	ლ	10	10	10	10	10
3	5W30 Shell	ლ	17	17	17	17	17
4	5w40 Meguin	ლ	16	16	16	16	16
5	ავტოქიმია S.332509 ზუმ საწ.კონ.ზამთ 2ლ	ც	14	14	14	14	14
6	ანტიფრიზი Driver SF-D12 Antifreeze 1.5L	ც	13	13	13	13	13
7	გადაცემათა კოლოფის შტეკერი MB	ც			19		
8	ზეთი ტრანსმის.მეგეუინი ATF III 1L	ლ	13	13	13	13	13
9	ზეთი ტრანსმისიის Febi ATF 29 449 1L	ლ	22	22	22	22	22
10	ზეთი ძრავის მეგეუინი 10W40 Premium 200L	ლ	8.5	8.5	8.5	8.5	8.5
11	ზეთი ძრავის შელი 5W40 Helix Ultra 209L	ლ	15	15	15	15	15
12	ზეთის ფილტრის ჩოჩალი	ც			6		
13	ზეთის ფილტრის ჩოჩალი	ც			7		
14	ზეთის ფილტრის ჩოჩალი	ც			45		
15	ზეთის ფილტრის ჩოჩალი	ც			50		
16	თერმოსტატი	ც	45	45	25		50
17	ნათურა P21/4W 12V BAZ15d	ც	1.35	1.35	1.35	1.35	1.35
18	პადმატორი	ც	160	200	95		
19	რეაქტიული ძელისა უკანა TOYOTA LC 100	ც		190			
20	სალონის საფენი	კომპ	50	50	50	50	50
21	სამუშ. ხუნდის დამჭ. ზამბარა TOYOTA LC 10	ც		6			
22	სამუხრუჭე ხუნდი უკანა	კომპ	170	135	60		
23	სამუხრუჭე ხუნდი წინა	კომპ	210	175	130	660	
24	სიგნალები	კომპ	65	65	65	65	65
25	სტაბ. კრონშტეინი წ/მე.	ც	150	35	22		
26	სტაბ. კრონშტეინი წ/მარ.	ც	150	35	22		
27	სტაბ. კრონშტეინის მილისა LEXUS LX470	ც	30	4	8	30	20
28	სტაბ. კრონშტეინის მილისა LEXUS LX470	ც	30	5		18	
29	უკანა ამორტიზატორი	ც	150	300	115		
30	უკანა სტაბ. მილისა LEXUS LX470	ც	30	19	15	20	20
31	უკანა სტაბილიზატორის მილისა გარეთა TOY &	ც		4			
32	უკანა სტოპ შაშეები (ბ) MB 210	ც			18		
33	უკანა ძელის მილისა შუა MB W203,W210	ც			22		
34	ფილტრი ზეთის	ც	16	12	11	25	25
35	ფრეონი 200გრ		12	12	12	12	12
36	ქსენონის ნათურა D2S 85V 35W	ც	140	140	140	140	140
37	წყვა	ც	310	220	55		150
38	წყვის დაბოლოება	ც	110	100	55		95
39	წინა ამორტიზატორი	ც	370	280	115		
40	წინა ბერკეტის მილისა კომპ MB W210	ც			70		
41	წინა საყრდენი დისკი	ც	320	310	100		
42	წინა სტაბ. მილისა TOYOTA LC100	ც	30	23	15	20	20
43	ჭრიჭინა მილისა	ც	25	*	*		
44	ჰაერის ფილტრი	ც	70	25	22	50	32
45	ჰალოგენი H1 12V 55W	ც	4	4	4	4	4

საქართველოს სასაზღვაო სამართლიანობის, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მინისტრის მოადგილე
პაატა სულაბერიძე

შპს "თეგეტა მოტორსის"
გენერალური დირექტორი
გიორგი მშვილდაძე

TEGETA MOTORS LTD
საქართველო
ქ.თბილისი
202177206

№	მომსახურების ჩამონათვალი	შენიშვნა	TOYOTA LC 200 NLN-707	LEXUS AAC-707	MERCEDES BENZ 1QL-121	AUDI A8 NYN-535	SHKODA OCTAVIA 1.8 COC-272	SHKODA OCTAVIA 1.8 GCG-576
1	ა/მანქანის გარეცხვა	გარედან	9	9	9	9	9	9
2	დასაჯდომი სავარძლის დ/ა	ცალი	70	50	50	70	50	50
3	დისკის გასწორება	ცალი	10-40 ლ.	10-40 ლ.	10-40 ლ.	10-40 ლ.	10-40 ლ.	10-40 ლ.
4	ელ. სისტემის აღდგენა		10 - 150ლ	11 - 150ლ	15	10-200ლ	10 - 150ლ	10 - 150ლ
5	ელექტრო შემაერთებლის შეცვლა	ცალი			30			
6	ზეთის ფილტრის ჩობალის შეცვლა	კომპ (4ც)	50		50	70	90	90
7	თვლების შეყრა		20	20	20	20	20	20
8	კარების შეზეთვა	კომპ (4ც)	20	20	15	20	20	20
9	კომპ. დიაგნოსტიკა		25	25	25	20	25	25
10	მიწებიდან ლენტის ახსნა	ცალი	60	60	60	60	60	60
11	მიწების დამუქება	ცალი	50	60	50	60	40	40
12	მორგივს საკისარის რეგულირება	ცალი	10	10	10		10	10
13	პოლირება	1 ნაჭერი	20	20	20	20	20	20
14	რადიატორის აღდგენა	ცალი	80	80	80	80	80	80
15	რეაქტიული ძელის მილისას მ/დ	ცალი		20			20	20
16	საბურავის ბალანსირება	ცალი	3	3	3	3	3	3
17	საბურავის დაშლა – აწყობა	ცალი	3	3	3	3	3	3
18	სამღებრო სამუშაოები	1 ნაჭერი	150	150	150	150	150	150
19	საქარე მინის აღდგენა	1 სმ	10	10	10	10	10	10
20	საყვირის მ/დ	კომპ	25	25	25	25	25	25
21	საყრდენი დისკის გაჩარხვა	ცალი	25	25	25	25	25	25
22	საჭის მექანიზმის მ/დ	ცალი	80	80	80	80	60	60
23	საჭის წევის დაბოლოების შეცვლა	ცალი	15	10	10	10	10	10
24	საჭის წევის შეცვლა	ცალი	15	15	15	15	15	15
25	სიგნალიზაციის მონტაჟი	კომპ	170	170	170	170	170	170
26	სტაბილიზატორის კრონშტეინის მ/დ	ცალი	10	5	10	10	10	10
27	უკანა ამორტიზატორის მ/დ	ცალი	40	40	25		35	35
28	უკანა სტაბილიზატორის მილისას მ/დ	ცალი	10	10	10	10	10	10
29	უკანა ძელის მილისას შეცვლა	ცალი			35			
30	ფარების რეგულირება	2ც	10	10	10	10	10	10
31	ქსენონის ნათურის შეცვლა	ცალი	30	25	25	25		
32	ცომციმა მაშუქის მონტაჟი		80	80	80	80	80	80
33	ძრავის გარეცხვა		30	30	30	30	30	30
34	წინა სტაბილიზატორის მილისას მ/დ	ცალი	10	10	10	10	10	10
35	წინა ამორტიზატორის მ/დ	ცალი	40	40	25		35	35
36	წინა ბერკეტის მილისას შეცვლა	1 კომპ	35	35	35	50	35	35
37	წინა და უკანა სამუხრუჭე ხუნდების მ/დ	კომპ	30	30	20		20	20
38	წინა სტაბ. კრონშტეინის შეცვლა	ცალი	15	15	10	15	10	10
39	ხელის მუხრუჭის რეგულირება	ცალი	30	30	30	30	30	30
40	ჰაერის ფილტრის შეცვლა	ცალი	5	5	5	5	5	5

საქართველოს სასჯელაღსრულების,
პრობაციისა და იურიდიული დახმარების
საკითხთა სამინისტროს
მინისტრის მოადგილე
პაატა სულაბერიძე

შპს "თეგეტა მოტორსის"

გენერალური დირექტორი
გიორგი მშვილდაძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვიზირებულია:

2011 წლის იანვარი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 4პუნქტის თანახმად საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ №02/18 ხელშეკრულებით (ერთ პირთან მოლაპარაკება) განხორციელებულ შესყიდვასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

მინისტრის პირველი მოადგილე _____ პ.სულაბერიძე

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ ა. ჯებისაშვილი

შესყიდვების სამმართველოს უფროსის მ/შ _____ ი.ჭანტურიძე

საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს უფროსი _____ ე.ალიმბარაშვილი

მატერიალურ ტექნილური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი _____ ლ.კახაძე